სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/02

ქ. თბილისი 26 იანვარი 2026

სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2026 წლის ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) მოვალეობის შემსრულებლის (ვიცე-კანცლერი) თეიმურაზ ბულიას 2026 წლის 22 იანვრის №0000054944 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 26 იანვრის №01-06-02/01 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2026 წლის ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) მოვალეობის შემსრულებლის (ვიცე-კანცლერი) 2026 წლის 26 იანვრის №0000054944 წერილით მოთხოვნილი პარამეტრების თანახმად;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**